საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

© ყოველდღიური გაზეთი №9 (78) სამშაბათი, 17 იანვარი, 1995 ფასი 120 000 კუპონი ან 300 რუბლი

## აბზაცი

დღეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება აქტიურად იბრძვის ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის ცივილიზებული გზით მოწესრიგებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ოსური მხარის შესახებ. სეპარატისტები სიტყვით ისტორიული, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენაზე ლაპარაკობენ, საქმით კი...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ ქვეყნებში მრავალი პრობლემა წარმოიქმნა ცენტრალური ხელისუფლების და ავტონომიების ურთიერთობის თვალსაზრისით. ჰააგაში გამართული შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საკითხები, რომელთა გადაწყვეტის შედეგად უნდა აღმოიფხვრას კონფლიქტების იარაღის ძალით მოგვარების შესაძლებლობა.

პრაღაში არაოფიციალური ვიზიტით მყოფმა ეგორ გაიდარმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს საკმარისად გააჩნია ძალები ჩეჩნეთის ომის სწრაფად დამთავრებისთვის, მთავარია მან მოინდომოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ძალზე სწრაფად შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტი დაკარგავს შეიარაღებულ ძალებზე კონტროლს.

ეს სურათი შეიძლება ძალიან მძიმე მოგეჩვენოთ, მაგრამ, იგი მართალია. აღგზნებული და დაჰიპნოზებული საპარლამენტო სხდომები იგივე ნიშნებს ამჟღავნებენ. ისინი ემსგავსებიან მოძრავ ბრბოს, რომელიც ნებისმიერ იმპულსს ემორჩილება.

ქართული თეატრის დღე სანდრო მრევლიშვილის სახლში, ახალ პატარა თეატრში აღინიშნა. გაიმართა თეატრის მოღვაწეთათვის ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი.

გუშინ ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ოთხმოცდამესამეჯერ აილო სტარტი ავსტრალიის ღია პირველობამ ჩოგბურთში, რომელშიც თბილისელი ლელა მესხიც მონაწილეობს. ქართველმა ჩოგბურთელმა წარმატებით იასპარეზა ერთ-ერთ წინასაჩემპიონატო ტურნირში, რომელიც იქვე — „მწვანე კონტინენტზე“ — გაიმართა. ლელა ღია ჩემპიონატზე თავის პირველ მატჩს დღეს გამართავს.

დაწვრილებით იხილეთ დღევანდელ ნომერში

შიდა ქართლი

## ლიახვის ხეობაში

საცხენეთი პატარა ლიახვის ხეობის უძველესი ქართული სოფელია. ჟამთასვლასა და დროთა სიავეში სოფლის თავზე ათასმა ქარტეხილმა გადაიარა, მაგრამ, ბოლოს მაინც სიკეთემ იმძლავრა, გლეხკაცი წელში გაიმართა და ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ლიახვისპირელი გლეხკაცი მომავლის დიდი იმედით სულდგმულობდა. სწორედ ამ დროს ჩვენს მიწაზე ნათესავად მიღებულმა კეთილი მასპინძლის დასათრგუნავად იარაღი შემართა და მამულის მოცილეობა დაუწყო. სოფელი დედასამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის საკუთარი მსხვერპლიც გაიღო. ლიახვისპირელი გლეხკაცი ამაყად იდგა მამულის სადარაჯოზე, მაგრამ მოულოდნელად ბუნების მძლავრმა სტიქიამ სოფელი მიწასთან გაასწორა. დაინგრა საუკუნეთა მანძილზე ნაგები მშობლიური ბუდე...

ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ვითარებამ კიდევ უფრო დაამძიმა საცხენეთელთა მდგომარეობა. სოფელს არა აქვს ელექტროენერგია, დიდი ხანია არ მიუღია ფქვილი, შაქარი, მარილი და ათასი სხვა რამ, რაც ადამიანის ფიზიკური არსებობისთვის არის საჭირო.

სოფელი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მიწების პრივატიზაციამ გეგმაზომიერად არ ჩაიარა. საპრივატიზაციო მიწების გამანაწილებელი კომისიის ზოგიერთმა წევრმა და მათმა ახლობლებმა ისარგებლეს რეგიონში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობით და საუკეთესო მიწების ფართობები მიისაკუთრეს. ყოფილი კოლმეურნეობის ზოგიერთი მშრომელი კი მიწის გარეშე დარჩა.

როგორია სოციალურ-პოლიტიკური კლიმატი რეგიონში, როცა რესპუბლიკის ხელისუფლება კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს ოსი და ქართველი ხალხის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად? — ამ საკითხებზე გავესაუბრეთ საცხენეთელებს.

— თქვენი აზრით, მომხდარ კონფლიქტში ვინ არის დამნაშავე, ქართული თუ ოსური მხარე? — ვკითხე საცხენეთის მკვიდრს ს.ტურაშვილს.

— კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა არასწორად მიმაჩნია, რადგანაც ერთმანეთისგან პრინციპულად უნდა განვასხვაოთ ოსი ხალხი და ოსური სეპარატიზმი. უნდა ითქვას, რომ ყოფილი ოლქის ხელმძღვანელობამ ქართველ ერს უღალატა — შიდა ქართლის მიტაცება და ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება ისურვა. განა ისტორიული წყაროებით ცნობილი არ იყო, რომ ოსები შიდა ქართლში მეცხრამეტე საუკუნეში დასახლდნენ? საქართველოში რომელ ოსეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკაზეა ლაპარაკი? განა ქართველი ერი იმას დაუშვებდა, რომ შიდა ქართლი ჩრდილოეთ ოსეთისთვის დაეთმო? ფართო საზოგადოებრიობისთვის ისიც ცნობილია, რომ ოსმა „ბოევიკებმა“ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ყოფილი ხელისუფლის ტ.კულუმბეგოვის მითითებით მკვიდრი მოსახლეობა იარაღის ძალით განდევნეს ყორნისის რაიონიდან, ქალაქ ცხინვალიდან. რაც შეეხება ოს მშრომელ ხალხს, ჩვენ მათთან გასაყოფი არაფერი გვაქვს. მათ კარგად იციან, რომ ისინი საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე ცხოვრობენ და მეზობლობაც ნორმალური, ადამიანური გვაქვს.

ქართველი და ოსი ხალხების ძველი, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა ორი ხალხის ისტორიულ გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს, — მეუბნება გ.ხადური და განაგრძობს, — რადგანაც ორივე ხალხმა შემდგომში ერთიანი ძალით უნდა იშრომონ სუვერენული საქართველოს შემდგომი ძლიერებისთვის. რასაკვირველია, შიდა ქართლის ოსურ რეგიონში უნდა აღდგეს საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების იურისდიქცია და უფლებამოსილება, უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო სტრუქტურები.

საცხენეთელ მშრომელებთან გასაუბრებამ ნათელყო, რომ ისინი მიესალმებიან ორ ხალხს შორის არსებული კონფლიქტის ცივილიზებული გზით მოგვარებას, მაგრამ უგულებელყოფენ დღეს შიდა ქართლში შექმნილი ე.წ. ოსეთის რესპუბლიკის იურიდიულ აღიარებას. ბევრმა ლიახვისპირელმა ისიც კი იკითხა, თუ მუდამ დოტაციაზე მყოფი, ე.წ. ოსეთის რესპუბლიკა დღეს ვის ბიუჯეტზეა? ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ცხინვალში პედაგოგებისა და მედიცინის მუშაკების რამდენიმე დღის წინანდელი გაფიცვა იმის გამო, რომ გასული წლის ნოემბრიდან დღემდე ხელფასი არ მიუღიათ. ახლახან ცხინვალიდან მიღებული ინფორმაციით შევიტყვეთ, რომ რუსეთის მთავრობას ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისთვის ხუთი მილიარდი რუსული „რუბლი“ გამოუყვია.

იხილეთ მე-2 გვერდი



## საქართველო

გვატყობინებენ საინფორმაციო სააგენტოებისა და საკუთარი კორესპონდენტები

ამჟამად სოჭში იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის 800-მდე მოქალაქე, მათ შორის ბავშვებიც. იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციამ მიიღო დადგენილება — საზღვრის გადალახვის დროებითი შეზღუდვის შესახებ, ისინი ვერ ბრუნდებიან სამშობლოში. სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ ყველა ამ მოქალაქეს ვერ დაიტევს ქ.სოჭის საზღვაო და სარკინიგზო ვაგზლების მოსაცდელი დარბაზები, ბევრ მათგანს უმთავრდება ფულიც, რაც ქმნის მათი საკვებით უზრუნველყოფის პრობლემას. ამის გამო სოჭის ადმინისტრაციული კორპუსის უფროსმა მ.ი. კარპოვმა თხოვნით მიმართა სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, უახლოეს დროში მიიღონ ზომები, რათა ეს მოქალაქეები სოჭის საზღვაო პორტის გემებით გადაიყვანონ ქ.ფოთსა და ბათუმში.

### თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება აფხაზურ მხარესთან განახლდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც პრინციპულად გადაწყდება ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი.

* * *

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსმა იგორ გიორგაძემ განაცხადა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით უკანონო შეიარაღებული ფორმირების გადაადგილებამ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით გამოიწვია აფხაზების მზადება საომარი მოქმედებებისთვის. კერძოდ, ი.გიორგაძის თქმით, აფხაზებმა გალის რაიონში გადაისროლეს ცოცხალი ძალა და სამხედრო ტექნიკა.

* * *

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების მთავარსარდალმა ვასილი იაკუშევმა განაცხადა, რომ როდესაც თბილისიდან შეიარაღებული კოლონა დაიძრა აფხაზეთის მიმართულებით, რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ჯარების პირადი შემადგენლობა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი.

* * *

უცხოელი სპეციალისტების პროგნოზით, 2-3 წლის შემდეგ, საქართველო შეძლებს ნავთობპროდუქტების საკუთარი რეზერვებით არსებობას. ნავთობის მოპოვების ინტენსიფიკაციისთვის და ახალი ნავთობსაბადოების აღმოსაჩენად შექმნილია ერთობლივი საწარმოები ავსტრალიასთან, დიდ ბრიტანეთთან და აშშ-სთან. სოფელ სუფსაში ერთი ჰაბურღილის დანადგარი უკვე დამონტაჟებულია. იანვრის თვეში აღმოსავლეთ საქართველოში დამონტაჟდება კიდევ ორი დანადგარი. ამ სამუშაოების ჩასატარებლად თანხებს გაიღებენ უცხოელი პარტნიორები. დანახარჯების დაფარვის შემდგომ ნავთობი და შემოსავალი შემდეგნაირად გაიყოფა: 70 პროცენტი — საქართველოს, 30 პროცენტი — უცხოელ პარტნიორებს.

* * *

თურქული კომპანია „ანადოლუს“ პრეზიდენტის ბორანჩილის თქმით, კომპანია მუშაობს 20 მეგავატი სიმძლავრის სამი ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე, რომელიც მდინარე ჭოროხზე აშენდება. კომპანია ასევე მუშაობს 90 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე, რომელიც ახალციხის მახლობლად მდინარე მტკვარზე აშენდება.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამ და საბერძნეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ იოანნის ანტოაპულოსმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის თაობაზე საქართველოს და საბერძნეთს შორის. შეთანხმება მოიცავს შემდეგ სექტორებს: მრეწველობას, გემთმშენებლობასა და გემთშეკეთებას, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს — საზღვაოს ჩათვლით, საბანკო და საფინანსო მომსახურეობას. შეთანხმება ძალაშია 5 წლის ვადით და ავტომატურად გრძელდება თითო წლით, თუ რომელიმე მხარე არ გამოთქვამს მისი გაუქმების სურვილს.

* * *

საბერძნეთის მთავრობამ, პრემიერ-მინისტრის ანდრიას პაპანდრეუს მონაწილეობით, შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკის შესწავლას, რათა შემდგომში გამოუყოს კრედიტი საქართველოს.

* * *

საქართველოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმში 13 იანვარს გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრების მიხეილ იაშვილისა და ვახტანგ გაბუნიას ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც ორ კვირას გაგრძელდება.

### ბათუმი

ამ დღეებში მკითხველი საზოგადოება მიიღებს ჟურნალ „მარჯის“ მეორე ნომერს. „მარჯის“ დამფუძნებელია კინოსტუდია „აჭარა“. ჟურნალის სახელწოდების ავტორად გვევლინება გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც უბრძანებია: „მარჯი საქართველოს, მარჯი ხომ გამარჯვების ფუძეა, როგორც ხარება გახარებისა და ნათელი განათლებისა“.

ნომერი იხსნება ზურაბ ცინცქილაძის წერილით, რომელშიც ვკითხულობთ: „მიხარია თქვენთან შეხვედრა, თანამემამულენო, მიხარია, როცა მამულიშვილურ საქმეს ჩაიფიქრებ და თანამოაზრენი გაგიმრავლდებიან; მიხარია, როცა ნათლის შეცნობის მსურველ სულს ვიპოვი; მიხარია, როცა კეთილის მქმნელს აღმოაჩენ; მიხარია, და მიჩნდება სურვილი სხვათა გახარებისა, უფრო მეტის ქმნისა, შენებისა“.

ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა წერილს, რომელშიც საუბარია აჭარის კულტურულ ცხოვრებაზე, იმ დიდ როლზე, რასაც ასლან აბაშიძის სახელობის ფონდი ასრულებს კულტურის აღმავლობის საქმეში.

ჟურნალში ასევე იხილავთ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარის ჯემალ ჯაყელის, აჭარის კულტურის მინისტრის ნოდარ ფალავას და სხვათა წერილებს, რომლებშიც განხილულია თანამედროვე ქართული კინოს პრობლემები და პერსპექტივები. თემურ დიასამიძის წერილში „მომავლის ბათუმი“ საუბარია იმ რეკონსტრუქციის შესახებ, რომელიც ბათუმში მიმდინარეობს.

როგორც გამომცემლები აღნიშნავენ, ჟურნალი გამოვიდა ფირმა „იაგუარი-2“-ის დიდი მხარდაჭერის წყალობით.

საკუთარი ინფორმაცია

### ზუგდიდი

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა ზუგდიდში აპირებს განაახლოს მუშაობა აფხაზეთის რეგიონიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნებასთან დაკავშირებით.

გამოყენებულია „იბერიის“ ინფორმაციები

პრობლემა

## «გვიჭირს, მაგრამ მაინც ვმუშაობთ...»

**იმ პრობლემებიდან, რომლებსაც დღეს თბილისში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, უმთავრესი მაინც ტრანსპორტის პრობლემაა. იშვიათობად იქცა მიწისზედა ტრანსპორტით მგზავრობა მათი სიმცირის გამო. მაგრამ თუ ბედმა გაგიღიმა და გადაჭედილ ავტობუსსა თუ ტროლეიბუსში მოხვდი, გადახდილი ღირებულება მათში მეორედ ასვლის სურვილს კარგა ხნით დაგიკარგავს.**

**რა იწვევს ტრანსპორტის გაუმართავ მუშაობას, რატომაა მგზავრობა ასე ძვირი, ამ საკითხებზე გვესაუბრება თბილისის მუნიციპალური საწარმოო-სატრანსპორტო კომპანია „თბილტრანსის“ თავმჯდომარე ბატონი ნუგზარ ნავაძე.**

**— ბატონო ნუგზარ, რა მდგომარეობაშია დღეს ქალაქის სატრანსპორტო პარკი, რითაა გამოწვეული მიწისზედა ტრანსპორტის სიმცირე?**

— იმ დროს, როცა მუშაობის შედარებით ნორმალური პირობები გვქონდა, პარკში ირიცხებოდა 1500 ავტობუსი და ხაზზე ვუშვებდით 990-ს. გვქონდა შესვენების, ავტობუსების ტექნიკურად გამართვისა და მარშრუტებზე დამატების საშუალება.

დღეს 750 ავტობუსი გვყავს. ხაზზე, უკეთეს შემთხვევაში, შემადგენლობის ნახევარი გამოდის. ახლა პარალელი თვითონ გაავლეთ. მე მხოლოდ ერთს დავამატებ — ჩვენი პარკი 2-ჯერ მეტ მოძრავ შემადგენლობას დაიტევს, ვიდრე ახლა ფლობს.

რაც შეეხება მიზეზს, რის გამოც შემცირდა მიწისზედა ტრანსპორტი ქალაქში, მოგახსენებთ, რომ ეს ის დარგია, რომლის გამართული მუშაობაც დამოკიდებულია თითქმის ყველა სხვა სამსახურზე. ტრანსპორტზე გავლენას ახდენს ელექტროენერგიით მომარაგება, წყალმომარაგება, საგზაო მეურნეობა, კავშირგაბმულობის სისტემა და ასე შემდეგ, მაგრამ მგზავრი, რომელიც დგას და ავტობუსს ელოდება, ამას ვერ გაითვალისწინებს.

ზემოთჩამოთვლილ პრობლემებს ემატება ისიც, რომ რაც დსთ-ს ქვეყნებთან და ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან (მხედველობაში მაქვს უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია) ძველი კავშირები გაწყდა, ახალი მოძრავი შემადგენლობები არ მიგვიღია. იძულებულნი ვართ, ჩამოწერილი მანქანების ნაწილები გამოვიყენოთ და ისე მოვიყვანოთ წესრიგში ავტობუსები. გაჭირვებამ მომჭირნეობა გვასწავლა ყველას — მძღოლსაც და ინჟინერსაც.

**— ქალაქის გარეუბნებს საკმაო შეღავათს უწევდა ტრამვაი. დღეს კი ისიც გაქრა...**

— მე ვერ ვიტყოდი, რომ გაქრა. მისი რაოდენობაც, ისე, როგორც სხვა სახეობებისა, შემცირდა. აქაც იგივე მდგომარეობაა — არ მიგვიღია ახალი შემადგენლობები და რაც გვყავს, ესეც ვატმანების დიდი დამსახურებაა. თუმცა, ფაქტია, რომ ტრამვაის პარკების მუშაობა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ავიღოთ № 10 მარშრუტი, რომელიც ქალაქის ცენტრში მოძრაობს — ელექტროენერგიის წყვეტილობის გამო ამ მარშრუტის კოლმეურნეობის მოედნამდე მოყვანაც არ ხერხდება, რადგან დეპო ავჭალაშია მოთავსებული და ტრამვაიმ 6 ქვესადგური უნდა გამოიაროს. სამწუხაროდ, არაა ისეთი ბედნიერი შემთხვევა, რომ ყველა სადგურში იყოს ელექტროენერგია...

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ლოტკინის მხარის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურებაში. საავტომობილო გზა ისეა გაფუჭებული, ავტობუსის მოძრაობა არ ხერხდება და ტრამვაიც ელექტროენერგიის სისტემატური მოუწოდებლობის გამო არ მუშაობს. ჩვენ მივმართავთ ღონისძიებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ...

**— რამდენიმე დღის წინ „დინამოს“ სტადიონთან მდგარი ტროლეიბუსების გვერდზე დამწვარი საბურავების გროვები გაჩნდა... ტროლეიბუსები ყოველ ღამე იძარცვებოდა, რამ გამოიწვია, რომ ამდენი ძვირადღირებული მოძრავი შემადგენლობა უპატრონოდ იყო მიგდებული?**

— სამწუხაროდ, გვქონდა ასეთი ფაქტები, რადგან სხვადასხვა ინსტანციების და პიროვნებების დაინტერესებით ტროლეიბუსების პარკის ტერიტორიაზე ერთ-ერთმა ფირმამ ბაზრობა გახსნა და შემადგენლობები „დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე განვალაგეთ. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მარშრუტები დიდუბის და დიღმის მხარეს ემსახურებოდა და დილით ადრე შეიძლებოდა შედგომოდნენ მუშაობას, მაგრამ... ცოტა ხანიც რომ ასე გაგრძელებულიყო, არც ერთი საბურავი აღარ შეგვრჩებოდა.

მეორე კვირაა, შევაერთეთ ორი სატრანსპორტო პარკი და ახლა ეს ტროლეიბუსები საბურთალოზე მდებარე პარკში დგანან, თუმცა... დილით ადრე მათი ხაზზე გამოშვება უკვე აღარ ხერხდება ისევ და ისევ ელექტროენერგიის წყვეტილობის გამო.

**— ამბობენ, ტროლეიბუსის მძღოლებს მიკროავტობუსების მძღოლები აძლევენ წილს იმისთვის, რომ არ იმუშაონ და მეტი შემოსავალი ჰქონდეთ...**

— მენდეთ, რომ ეს გამორიცხულია. არ დავმალავ, ტროლეიბუსის მძღოლებს გარკვეული დაინტერესება აქვთ და მიკროავტობუსის მძღოლი ვერ მისცემს მათ იმდენს, რომ იმ თანხისთვის ხაზზე გაუსვლელობა ღირდეს...

**— რა კომენტარს გაუკეთებთ მიკროავტობუსების მძღოლების მიერ რამდენიმე დღის წინ მოწყობილ აქციას?**

იხილეთ მე-2 გვერდი

მოკლედ

## შეხვედრა ჰააგაში

ავტონომიების და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემებს მიეძღვნა ჰააგაში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული „მრგვალი მაგიდა“, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის, გაგაუზების რესპუბლიკის, დნესტრისპირეთის, თათრეთის ხელმძღვანელები და რუსეთის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის წარმომადგენლები. შეხვედრა, რომელშიც ცნობილი უცხოელი ექსპერტებიც მონაწილეობდნენ, მოეწყო ორი ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის ინიციატივით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ ქვეყნებში მრავალი პრობლემა წარმოიქმნა ცენტრალური ხელისუფლებისა და ავტონომიების ურთიერთობის თვალსაზრისით. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საკითხები, რომელთა გადაწყვეტამაც უნდა აღმოიფხვრას კონფლიქტების, სადაო საკითხთა იარაღის ძალით მოგვარების შესაძლებლობა. „მრგვალმა მაგიდამ“ საშუალება მისცა მონაწილეებს, მოესმინათ კვალიფიციური ექსპერტების იურიდიულ-სამართლებრივი კონსულტაციები, გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები.

შეხვედრაზე განიხილეს ჩეჩნეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლო ვარიანტები.

თავის გამოსვლაში ვ.არძინბამ აღნიშნა, რომ ჩეჩნეთის მსგავსი კონფლიქტები მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოწესრიგდეს. რაც შეეხება საქართველოსთან ურთიერთობას, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა პრობლემათა პოლიტიკურ მოწესრიგებას დაუჭირა მხარი. თუმცა, ვ.არძინბამ ჩვეულ ტონს არ უღალატა და განაცხადა, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტის მაგალითზე საქართველოშიც მტკიცდება იგივე მეთოდებით აფხაზეთში შეჭრის რწმენა. მართალია ამის დამადასტურებელი ოფიციალური ფაქტები სეპარატისტთა ლიდერს არ გააჩნია, მაგრამ დარწმუნებით ამცნო შეხვედრის მონაწილეებს, რომ გააჩნია არაოფიციალური მონაცემები აფხაზეთში სალაშქროდ ქართული სამხედრო შენაერთების მზადებაზე.

ინფორმაცია საქართველოს წარმომადგენლის გამოსვლის შესახებ გუშინ ხელთ არ გვქონდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიახვის ხეობაში

პირველი გვერდიდან

ლიახვისპირელ მოსახლეობას სისხლხორცეულად აინტერესებს ყოფილი ავტონომიური ოლქის სტატუსი. როგორ გადაწყდება ბოლშევიკების მიერ არასამართლებრივ ნიადაგზე, ხელოვნურად შექმნილი და უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით 1990 წელს გაუქმებული ავტონომიური ოლქის ბედი? მათ მიაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, პარლამენტმა არ უნდა დაუშვან ბოლშევიკების მიერ გადადგმული ნაბიჯის იურიდიული გამართლება, რადგანაც არც საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და არც რესპუბლიკის კონსტიტუციით შიდა ქართლში კომპაქტურად დასახლებულ ოსებს ადმინისტრაციული ოლქი არ ეკუთვნით. ისინი მომხრენი არიან შიდა ქართლში ოსთა კულტურული ავტონომიისა, რომელიც ოს ხალხს რეალურ საშუალებას მისცემს თვითგამორკვევისთვის.

მიუხედავად რეგიონის ქართველი მოსახლეობის ლოიალური განწყობილებისა, ოსი სეპარატისტები მაინც ცდილობენ ორ ხალხს შორის მდგომარეობის გამწვავებას. რამდენიმე დღის წინ ცხინვალის ტელევიზიით ე.წ. რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური პარტიების ლიდერების გამოსვლებში აღინიშნა, რომ ისინი მტკიცედ მოითხოვენ ოსეთის ისტორიულ მიწა-წყალზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. აღსანიშნავია, რომ ამ სატელევიზიო გამოსვლებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ცხინვალში ოფიციალურად მოიწვია გაგაუზების რესპუბლიკის მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან გააფორმა სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები.

კარგა ხნის წინ ვლადიკავკაზში გამომავალ გაზეთ „დემოკრატიჩესკაია ოსეტია"-ში დაიბეჭდა ოსი მეცნიერის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარიტონ ცალაევის სტატია „ჩრდილოეთელი და სამხრეთელი ოსების გაერთიანების საკითხისთვის", რომელიც ნათელს ჰფენს ოს სეპარატისტთა პოლიტიკურ განზრახვას. სტატიაში არის ასეთი ფრაზა „ოცნება რუსეთის ფარგლებს გარეთ ერთიანი ძლიერი ოსური სახელმწიფოს შექმნაზე — ეს მხოლოდ სეპარატისტულად განწყობილი, პოლიტიკას მიტმასნილი, ცალკეული მოღვაწეების ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი".

# გაერთიანებული ოსეთის ჰიმნი?!

დღეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება აქტიურად იბრძვის ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის ცივილიზებული გზით მოწესრიგებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ოსური მხარის [illegible]

მიწა-წყალი ერთ ჰერქვეშაა. კავკასიონის ქედი აღარ არის საზღვარი. მშობლიურ მიწაზე ფრიალებს ალანური დროშა, ოსები თვალუწვდენელი ქვეყნის ამაყი შვილები არიან. ძმებო ოსებო, ფიცით შევკავშირდეთ, ამას [illegible]

რმაციის დამთავრება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა „ჰიმნის" ავტორზე რევაზ ასაევზეც ვთქვათ. წლების წინ ბატონი რევაზი თავის თავს ქართველი ხალხის ერთგულ მეგობრად მიიჩნევდა. ქართველმა ხა- [illegible]

# კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისთვის

[illegible] გოხელაშვილი, ამავე აპარატის ადმინისტრაციული ორგანოების სამმართველოს უფროსი შოთა ჩოჩიშვილი, ქალაქ [illegible] გაერთიანებული სამშვიდობო ძალები, რომლის სარდლად დაინიშნა ვიქტორ კონსტანტინოვი.

[illegible] თად, ნარკომაფიის წინააღმდეგ.

ბიბი ბორცვაძე

# «გვიჭირს, მაგრამ მაინც ვმუშაობთ...»

პირველი გვერდიდან

— ეს აქცია ჩაატარეს კერძო მფლობელობაში არსებული მიკროავტობუსების მძღოლებმა. ისინი მოითხოვდნენ ლიცენზირების პრინციპით მუშაობის საკითხების დახვეწას. საქმე ისაა, რომ სამი თვის წინ მათთვის გამოიცა ქალაქის მერიის სპეციალური განკარგულება კერძო ტრანსპორტის მოძრაობის დარეგულირებისთვის, რის გამოც მძღოლებს სხვადასხვა ადგილზე უხდებოდათ გადასახადების გადახდა. ამას მოჰყვა მერიის ახალი განკარგულება, რომელიც ითვალისწინებს ტრანსპორტის ყოველთვიურ ტექნიკურ დათვალიერებას და ეს გახდა აქციის საბაბიც მათ მოითხოვეს გადასახადის ერთ ანგარიშზე ჩარიცხვის უფლება, რომ გათავისუფლდნენ ზედმეტი სიარულისა და დაძაბულობისაგან.

მიმაჩნია, რომ მათ მიერ დაყენებული საკითხი რეალურია და ობიექტური. მე შევხვდი მათ ტელევიზიის წინ და პირობა მივეცი, რომ ერთ კვირაში ყველა საკითხს დავსვამდი შესაბამის ორგანოებში, განვიხილავდით და ობიექტურად გადავწყვეტდით. 23 იანვარს მერიაში შევხვდებით წარმომადგენლებს და გავაცნობთ ჩვენს დადგენილებას, რაც, ვფიქრობ, მათთვის ხელსაყრელი უნდა იყოს.

**— დამეთანხმებით, რომ მგზავრობის ღირებულება ბევრად აღემატება მოსახლეობის შესაძლებლობებს. ბოლო დროს კი ისიც გაღიზიანებას იწვევს, რომ კუპონებში ღირებულება 500 ათასია, მანეთებში 1000, როცა კუპონის კურსი მანეთთან მიმართებაში ბევრად ძვირია. აპირებთ თუ არა გადახედოთ ფასების საკითხს?**

— ჩვენ ალბათ, 20 იანვრისთვის [გადავ]ხედავთ ამ საკითხს და შესაბამისობაში მოვიყვანთ ღირებულებას და გაწეულ ხარჯებს. ასე რომ, ფასების მომატება აღარ მოხდება, თუ ვინმემ თვითნებურად არ მოინდომა ღირებულების გაზრდა. ჩვენი მხრიდან ვეცდებით, რომ ასეთი ფაქტები არ მოხდეს.

რაც შეეხება კერძო ტრანსპორტს, ფასების დარეგულირება, ალბათ, იქაც ჩვენ უნდა შევძლოთ , მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ. ისე, მინდა გითხრათ, რომ მგზავრობის ღირებულების მომატება არც მათ აძლევთ ხელს, რადგან მოსახლეობა ვერ იხდის და მგზავრი იკარგება.

ფასები დღეისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა და მოსაგვარებელია. ქალაქის მერია ჩვენთან ერთად უკვე მუშაობს განკარგულების ახალ პროექტზე და, ვფიქრობ, 1 თებერვლიდან რაღაც ნაბიჯები გადაიდგმება უკეთესობისკენ.

**— რითაა გამოწვეული, რომ ბენზინზე მომუშავე ზოგი ავტობუსი 500 მანეთი ღირს, დიზელზე მომუშავე კი — 1000. პირიქით ხომ არ უნდა იყოს, ბენზინი უფრო ძვირი არ არის?**

— თქვენ, ალბათ, მხედველობაში გაქვთ № 120 მარშრუტი. საქმე ისაა, რომ აქ იმდენი მგზავრი ადის და ჩამოდის, რომ მათი რაოდენობა იძლევა საშუალებას ღირებულების შემცირებისა. თანაც, ეს მარშრუტი მართლაც რომ საათივით მუშაობს და მგზავრებსაც მისი იმედი აქვთ.

ერთ რამესაც გავუსვამ ხაზს. ჩვენ შეგვეძლო ამ ატობუსის ღირებულებაც გაგვეზარდა, თანაც ეს მოხდებოდა ყოველგვარი ხმაურის გარეშე, მაგრამ ჩვენი თვითმიზანი არ არის ფასების მომატება. გვირჩევნია, ფასი დაბალი იყოს, მგზავრთა რაოდენობა — მეტი.

**— არის მოსახლეობის კატეგორია, რომელიც მცირე ხელფასის გამო ვერ ახერხებს მგზავრობის ღირებულების გადახდას. ამიტომ მათზე დაწესდა შეღავათები. ბოლო დროს კი ყველას, მათ შორის პედაგოგებსაც, დიდი უსიამოვნებები ხვდებათ მძღოლებთან ურთიერთობაში ამ შეღავათების გამო. რითაა ეს გამოწვეული?**

— სამწუხაროდ, აღარ ხერხდება ისე, რომ მგზავრის გადაყვანა ძვირი ჯდებოდეს და მგზავრობა — იაფი ღირდეს... თქვენ ბრძანეთ, რომ მასწავლებლებს შეღავათები ეკუთვნით და მძღოლებთან დავა სჭირდებათ. მასწავლებლებს შეღავათი არასოდეს არ ეკუთვნოდათ, მაგრამ თუ მათ ქ.თბილისში უფასოდ მგზავრობის უფლება მიიღეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მართლა უფასო იყო. ქალაქის მერია თავისი ხარჯებიდან იხდიდა გარკვეულ თანხას და პედაგოგებს აძლევდა უფასოდ გადაადგილების შესაძლებლობას. თავდაპირველად აბონემენტები დაიბეჭდა, მერე კი, რადგანაც იმ აბონემენტით ოჯახის სხვა წევრებსაც შეეძლოთ მგზავრობა, დაიბეჭდა ერთჯერადი ტალონები, რომელთაც ძალა 1 იანვრამდე ჰქონდა. 1 იანვრიდან ტალონები ძალადაკარგულად ჩაითვალა და ახლა არავითარი შეღავათი არ მოქმედებს. ეს საკითხი პედაგოგების მიერ მიმდინარე წელსაც დაისვა. ალბათ, მას განიხილავენ და თუ მერია მიიღებს გადაწყვეტილებას, პედაგოგებს პრობლემები აღარ შეექმნებათ.

ცნობისათვის მინდა გითხრათ: დგას საკითხი მინისტრთა კაბინეტში, რომ ყველა ასეთი შეღავათი უნდა გასწიოს იმ ზემდგომმა ორგანომ, რომელიც დაინტერესებულია თავის დაქვემდებარებაში მყოფ მოქალაქეთა ბედით. ლტოლვილების შეღავათი უნდა გასწიოს ლტოლვილთა კომიტეტმა, პენსიონერებისა — სოცუზრუნველყოფის სამინისტრომ და ა.შ. ეს დადგენილება უკვე მზადდება და მალე, ალბათ, შეღავათების საკითხი სხვაგვარად დადგება.

**— პრობლემებზე უკვე ვისაუბრეთ, ხედავთ თუ არა რაიმე პერსპექტივას უახლოეს პერიოდში?**

— სამწუხაროდ, პრობლემა უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ მოვახერხეთ ინტერვიუში თქმა. ერთი ისაა, რომ კრიმინოგენული ვითარების დაძაბვა ჩვენზე პირდაპირ გავლენას ახდენს. თავი რომ დავანებოთ თვით ჭარხის ძარცვას, მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდო ტროლეიბუსების სადენების მოპარვამ. თითქმის 5 კილომეტრი სიგრძის მავთული დაგვაკლეს მარტო ნოემბრის თვეში. დიდი წვალების ფასად მოვახერხეთ ამ მავთულის ყიდვა, მაგრამ ჯერ მოსკოვიდან ვერ შემოვიტანეთ, რადგან სარკინიგზო მოძრაობა არ არის, საჰაეროც შეწყვეტილია.

პერსპექტივაზე რა მოგახსენოთ? დავიწყეთ ზრუნვა ახალი შემადგენლობების შესაძენად, ვცდილობთ სხვა საკითხების მოგვარებასაც. მოკლედ, ვმუშაობთ, გვიჭირს, მაგრამ მაინც ვმუშაობთ და, ალბათ, შრომას შესაბამისი შედეგებიც მოჰყვება.

ესაუბრა
მაია ტორაძე

თეატრი

# ქართული თეატრის დღე

14 იანვარი, ქართული თეატრის დღე, სანდრო მრევლიშვილის სახლში, ახალ პატარა თეატრში აღინიშნა. ჩატარდა თეატრის მოღვაწეთათვის ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი. საღამო გახსნა თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ — გიგა ლორთქიფანიძემ; თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ სანდრო მრევლიშვილის თეატრი „საბაზრო ეკონომიკის პირველი მერცხალია" ანუ პირველი კერძო თეატრია თბილისში და მის დამაარსებელს გადასცა სპეციალური პრიზი. ბატონმა გიგამ შტუტგარტის 55 კაციანი თეატრის მაგალითი, მოიყვანა რომელსაც სახელადაც „55" ჰქვია და დასძინა, რომ საზღვარგარეთ, ამ ტიპის პატარა თეატრები ძალიან ბევრია. კოტე მახარაძემ კი აღნიშნა, რომ საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა საოჯახო თეატრების ტრადიცია.

სანდრო მრევლიშვილმა ყველას მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, დაასახელა ის ადამიანები, რომლებმაც უშუალო დახმარება გაუწიეს თეატრს შექმნას, მადლობა გადაუხადა მეუღლეს — ქალბატონ მანანა ჭელიძეს, რომელიც უსიტყვოდ დათანხმდა სახლის „დანგრევის" და თეატრის შენების იდეას.

მან მოკლედ ჩამოთვალა, თუ რა დაიდგმება უახლეს მომავალში ახალ თეატრში: კოტე მახარაძე რამაზ იოსელიანთან ერთად ჩაატარებს ე.წ. სპორტული ნოველის საღამოებს, სტეფან ცვაიგის „საჭადრაკო ნოველის" მიხედვით. გაიმართება მეტეხის თეატრის სპექტაკლი „დიქტატორი აბაზანაში". მოიწვევენ 10-12 კაციან კამერულ ორკესტრს.

სიტყვით გამოვიდნენ გურამ საღარაძე, ნინელი ჭანკვეტაძე, მეტეხის თეატრის დირექტორი კანდიდ გურგენიძე, რამაზ იოსელიანმა და პატარა გიგი გეგელაშვილმა კი სტუმრებისთვის ერთად იმღერეს.

ამის შემდეგ გიგა ლორთქიფანიძემ გამოაცხადა დაჯილდოებულთა სია და გადასცა პრემიები:

მიხეილ თუმანიშვილს მიენიჭა სახელმწიფო პრემია, თემურ ჩხეიძეს — კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია. პრემია მიენიჭა გორის თეატრის რეჟისორს ალექსი ჯაყელს, რომელიც წლის საუკეთესო რეჟისორადაა აღიარებული. პრემიები გადასცეს მსახიობებს: ნინელი ჭანკვეტაძეს, ნინო კასრაძეს, ნატო მურვანიძეს, ზაზა პაპუაშვილს, თეატრმცოდნეს — ფიქრია ყუშიტაშვილს. სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პრემია მიენიჭა სოხუმის თეატრის მსახიობს ვახტანგ ელერდაშვილს.

ბათუმის ოპერის ხელმძღვანელები ალექსანდრე ხომერიკი და რეჟისორი გიზო ჟორდანია წარდგენილნი არიან რუსთაველის პრემიაზე.

მუსიკალურმა საზოგადოებამ ყოველწლიური პრემია მიანიჭა: ალექსანდრე ხომერიკს, გიზო ჟორდანიას, დავით მუქერიას, ბექა მონავარდისაშვილს, მაია კასრაძეს, გოჩა გეგელაშვილს, ზურაბ ნინუას, სანდრო დუმბაძეს, ზაზა ხამათაშვილს.

პრემიები გადაეცათ მხატვრებს — მირიან შველიძესა და უშანგი იმერლიშვილს ბათუმის საოპერო თეატრში „აბესალომ და ეთერისა" და „ლელას" გაფორმებისთვის.

ნიკოლოზ ალასანია

# ჩვენი კორესპონდენტი ნათია ფანჯიკიძე ესაუბრება თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს



**— როგორ შეხვდა ქართული თეატრი თეატრის დღეს — 14 იანვარს?**

— ამ დღეს, რომელსაც ტრადიციულად დიდი ზეიმით აღვნიშნავდით, წელს მეტად რთულ მდგომარეობაში ხვდება ყველა თეატრი. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია სპექტაკლების გამართვა. ყველა თეატრი უმოქმედოდაა და სეზონს მხოლოდ გაზაფხულზე გახსნის. გასულ წელს, 14 იანვარს, ბათუმში დიდი ზეიმით შევხვდით. იქაურმა საოპერო თეატრმა წარმოადგინა „აბესალომ და ეთერის", „ლელას" პრემიერები. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან მოწვეულნი იყვნენ ალ.ხომერიკი და სხვა მსახიობები. ბათუმის საოპერო თეატრი ახლაც დიდი წარმატებით მუშაობს. ამჟამად, ჩემი ხელმძღვანელობით მეტად რთული ამოცანა აქვს დასახული — ვერდის ბრწყინვალე ოპერის „აიდას" დადგმა. აქვე მინდა ვთქვა, რომ ამონასროს პარტიას შეასრულებს ბათუმის თეატრის ახალი მომღერალი ზაზა ხამათაშვილი, შესანიშნავი ბარიტონი, რომლის სახელიც უკვე უნდა დავიმახსოვროთ. შარშან ბათუმშივე ჩავატარეთ თეატრის მოღვაწეთათვის ჯილდოების გადაცემის ტრადიციული ცერემონიალი. წელს იგივე ღონისძიებას ვაწყობთ ახალ, პატარა თეატრში, რომელიც სანდრო მრევლიშვილმა დიდი მონდომებით, თითქმის საკუთარი ხელით თავისივე სახლში შექმნა.

**— როგორც აღნიშნეთ, სიცივის გამო, ნამდვილ სათეატრო თვეებში თეატრები ვერ მუშაობენ. ეს განსაკუთრებით ოპერაზე ითქმის. უჩანს თუ არა პირი მდგომარეობის გამოსწორებას, და, საერთოდ, რა პრობლემები დგას თეატრების წინაშე?**

— დღეს ჩვენს თეატრებს მხოლოდ ერთი რამ ასულდგმულებს, — მაყურებლის დიდი მხარდაჭერა, რომელიც, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც სპექტაკლის გამართვა ხერხდება, მიუხედავად ყველაფრისა — უტრანსპორტობისა, სიცივისა და ა.შ., დარბაზი მუდამ სავსეა ხოლმე. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები, მართლაც იშვიათია და ჩვენ, ფაქტიურად, გაზაფხულამდე შევბულებაში ვართ. მაგრამ მაინც, სათეატრო ცხოვრება არ წყდება. თუმცა სპექტაკლები არ იმართება, ინტენსიურად მიმდინარეობს რეპეტიციები რუსთაველის თეატრში, სადაც რობერტ სტურუა შექსპირის ნაწარმოებების მიხედვით თავისებურ მონტაჟს აკეთებს, რაც, ალბათ, ძალიან საინტერესო იქნება. მარჯანიშვილის თეატრში მედეა კუჭუხიძე ახალგაზრდა ავტორის რ.კლდიაშვილის კომედიაზე მუშაობს. საუკეთესო სპექტაკლებს მართავს მიხეილ თუმანიშვილი.

რაც შეეხება ოპერას, აქ საქმე გაცილებით ცუდადაა. საქმე იმაშია, რომ აქ ხელისშემშლელი მხოლოდ სიცივე არ გახლავთ. ერთი სპექტაკლის მხოლოდ დეკორაციებისთვის ათეულ ათასობით დოლარია საჭირო. მსახიობების უმეტესობა საზღვარგარეთ (ახლო საზღვარგარეთს ვგულისხმობ) მიმოიფანტა. ბევრი მათგანი რუსეთში წავიდა, ზოგი ყაზანში, ტვერში... რა თქმა უნდა, აქ გასაკვირი არაფერია, თუნდაც იმიტომ, რომ მათი ყველაზე მაღალი ხელფასი ოთხი მილიონი კუპონია.

დრამატული მსახიობებისთვის, ენობრივი ბარიერის გამო, ეს გამოსავალიც კი არ არსებობს — ისინი ყაზანის და ტვერის თეატრებში თამაშს, ბუნებრივია, ვერ შეძლებენ. დღესდღეობით კი, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართველი მსახიობები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შიმშილობენ.

კიდევ ერთი უდიდესი ნაკლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეატრისაც და ჩვენი ლიტერატურისაც ისაა, რომ აღარ იწერება პიესები, რაც აუცილებელი პირობაა სათეატრო მოღვაწეობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად კონკურსებსაც ვაცხადებთ საუკეთესო პიესებისთვის, ავტორები არ ჩანან.

**— რა დღეშია სოხუმისა და ცხინვალის თეატრები?**

— შეიძლება თამამად, ითქვას, რომ სოხუმის კ.გამსახურდიას სახელობის თეატრი, რომელსაც რუსთაველის თეატრი ღირსეულად მასპინძლობს, სულაც არ გრძნობს თავს ლტოლვილად. იგივეს ვიტყვი ცხინვალის თეატრზეც, რომელიც რუსულმა მოზარდმაყურებელთა თეატრმა შეიკედლა. ბოლო ხანებში, სოხუმის თეატრი ქუთაისში იყო გასტროლებზე, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ქუთაისელები ძალიან თბილად დახვდნენ სოხუმელ მსახიობებს, დიდხანს არ ცხრებოდა ტაში.

**— მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის კოლექტივის ნაწილთან ერთად თეატრი დატოვა მისმა მთავარმა რეჟისორმა შალვა გაწერელიამ. ახლა, როცა მათთვის საჭირო შენობა გმოინახა, დაბრუნდება თუ არა სრული შემადგენლობა თეატრში?**

— მე მიმაჩნია, რომ შალვა გაწერელიამ შეცდომა დაუშვა, როდესაც თეატრი დატოვა. შეიძლება მან იფიქრა, რომ რკინიგზელთა სახლის მხრიდან (სადაც დაბინავდა მოზარდ მაყურებელთა თეატრი) რაიმე დიქტატს ექნებოდა ადგილი, რაც მე არა მგონია, რეალობას შეესაბამებოდეს. თუმცა, ეს ფაქტი ადამიანური მხრიდანაც შეიძლება დავინახოთ, რომ კაცი, რომელიც 30 წელიწადზე მეტხანს ერთ თეატრს ხელმძღვანელობდა, უბრალოდ გადაიღალა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება, თუკი იგი თავის თეატრს დაუბრუნდება: თუმცა, ჯერჯერობით, ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი.

**— თქვენ მუსკომედიის თეატრის დირექტორიც ბრძანდებით. რა მდგომარეობაშია ახლა იგი და რა ეტაპზეა ამ თეატრის მშენებლობა?**

— მე, შეიძლება ითქვას, აღარ ვმუშაობ მუსკომედიის თეატრში. მშენებლობის დროულად დასრულების იმედი, რა თქმა უნდა, არა გვაქვს. ამჟამად დაბინავებული ვართ პროფკავშირების სახლში, სადაც საშინლად ცივა, და, ამასთანავე, არ გვაქვს მუსიკალური ორმო, რომლის გარეშეც მუსკომედიის თეატრის მუშაობა შეუძლებელია. სამაგიეროდ, თავის კოლექტივთან ერთად ჩვენთან მოვიდა და რეპეტიციებს ატარებს შალვა გაწერელია, რომელიც ამჟამად გიორგი ერისთავის პიესებზე მუშაობს.

**— ხონის თეატრიც საქალაქო თეატრი გახდა. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— თუკი ქალაქს სურს ჰქონდეს საკუთარი თეატრი და აქვს მისი შენახვის შესაძლებლობა, ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფოს ამდენი თეატრის შენახვა არ შეუძლია. ბიუჯეტიდან დახმარებას იღებენ მხოლოდ რუსთაველის, მარჯანიშვილის, მოზარდ მაყურებელთა თეატრები. დანარჩენებმა თვითონ უნდა ირჩინონ თავი.

**— 1995 წელს თუ ელოდება ჩვენს თეატრებს გასტროლები?**

— გასტროლების საქმე, ისევ და ისევ, მატერიალური გაჭირვების გამო, ძალიან ცუდადაა. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს არ ხერხდება, რადგან ამ დროს ხარჯი მოგებაზე ბევრად მეტია. წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია.

**— თქვენ, როგორც თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარეს, გაძლევთ თუ არა პარლამენტში მუშაობა საშუალებას, მეტი რამ გააკეთოთ თეატრებისთვის, თუ, პირიქით, ზედმეტ დროს გართმევთ იგი?**

— მხოლოდ და მხოლოდ დროს მართმევს, რომ არაფერი ვთქვათ ნერვებზე.

## სტომატოლოგებისა და მომავალი სტომატოლოგების საყურადღებოდ!

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სტომატოლოგიაში და სტომატოლოგიურ სამყაროში უახლოეს მომავალში მოსალოდნელი მკაცრი კონკურენცია პრინციპულად მოითხოვს ექიმი-სტომატოლოგის ცოდნის უწყვეტ ამაღლებას და პროფესიულ სრულყოფას.

ფირმა „უნიდენტის" სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი სთავაზობს როგორც გამოცდილ, ასევე დამწყებ და მომავალ სტომატოლოგებს, შეიძინონ და შეინარჩუნონ ცოდნის თანამედროვე დონე, აითვისონ პრაქტიკული ჩვევები ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობისას. ზემოთ აღნიშნულს მრავალფეროვანი თემატიკის გამოყენებით ახორციელებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის წამყვანი პედაგოგები კომფორტული კლინიკური ბაზის, ფანტომების, ვიდეო და სხვა თანამედროვე თვალსაჩინოებათა გამოყენებით. იმედი გვაქვს, ჩვენს სემინარებში თქვენ ადვილად იპოვნით თქვენთვის საინტერესო საკითხებს:

ჯგუფებში მსმენელთა რაოდენობა შეზღუდულია. ჯგუფები კომპლექტდება წინასწარი ჩაწერით. სწავლება ფასიანია.
ჩვენთან თანამშრომლობა თქვენი პროფესიული და მატერიალური წარმატების საწინდარია.
„უნიდენტი" გადაგიჭრით ყველა პრობლემას სტომატოლოგიაში.
მოგვმართეთ ყოველდღე, გარდა კვირისა. სასურველია სამშაბათს და პარასკევს 10სთ-დან 11 სთ-მდე.

**ჩვენი მისამართია:** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკა), ფირმა „უნიდენტის" სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი.
380002, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 126. ტელ: 96-71-26.

ოპი

# ჩეჩნეთი — საომარ მოქმედებათა ქრონიკა

გუშინ ღამით მოსკოვიდან გროზნოში ჩავიდა რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა მინისტრი ს.შოიგუ. მას თან ახლავს სამი მოადგილე და ცენტრალური აერომობილური სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები. გროზნოში გათვალისწინებულ საავარიო და სამაშველო სამუშაოებში ჩაერთვებიან ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონების სამაშველო-სამძებრო სამსახურებიც.

ს.შოიგუმ გამგზავრების წინ განაცხადა, რომ პირადად უხელმძღვანელებს რაზმების მოქმედებას და იმედი აქვს, რომ შეძლებენ ყველა დაჭრილის, ნანგრევებში მოყოლილების დახმარებას. აგრეთვე შეაგროვებენ გვამებს.

+ + +

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კვირის ნომერში დაბეჭდილია სტივენ ერლანგერის რეპორტაჟი გროზნოდან: „მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურებულ და გაუკაცრიელებულ ქალაქებთან — დრეზდენთან, კოვენტრისთან ან სტალინგრადთან შედარებით, გროზნო არც ისე ძლიერაა დანგრეული. მაგრამ რაც აქ მოხდა, თავისთავად სცილდება დასაშვებ ფარგლებს და ნგრევის პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა. რუსეთს მოქმედებაში მოჰყავს საუკეთესო სამხედრო შენაერთები და იყენებს მთელ შემტევ პოტენციალს. ჩეჩენი ბოევიკები კვლავ პრეზიდენტის სასახლის ნანგრევებში შერეკეს. მიუხედავად გააფთრებული წინააღმდეგობისა, სასახლის აღება გარდაუვალია — შესაძლებელია ამაღამ, ხვალ ან რამოდენიმე დღის შემდეგ. ასევე სავარაუდოა, რომ ბრძოლები პრეზიდენტის სასახლის დაცემის შემდეგაც გაგრძელდება გროზნოს სამხრეთ ნაწილში, რადგან ჩეჩენი ბოევიკები ამ მიმართულებით შეეცდებიან მთებში გაჭრას.

დუდაევის მოწოდებები მოლაპარაკებაზე სრულიად იგნორირებულია — რუსეთის ეროვნულ უშიშროებაზე პასუხისმგებელი პირები სულ უფრო თავდაჯერებულად მოქმედებენ“.

ამავე გაზეთის მეორე პუბლიკაცია ეძღვნება რელიგიის როლს ჩეჩნეთის ომში. აქამდე რელიგიაზე არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა ამ თემამ წინ წამოიწია. ყველა ჩეჩენი ჯარისკაცი ფიცს დებს ალაჰის წინაშე და იღებს ჰაზავათს — საღვთო ომს დამპყრობთა წინააღმდეგ. რუსეთის ხელისუფალთ სულ უფრო მეტი ფიქრი უწევთ იმაზე, რომ ჩეჩნეთის უშუალო სიახლოვეს მდებარეობენ თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, საუდის არაბეთი და, რაღა თქმა უნდა, ავღანეთი. ამ ქვეყნებში სულ უფრო ინტენსიურად გაისმის ხმები, რომ კონფლიქტი სცდება რუსეთის ფარგლებს. რუსეთის დემოკრატიული წრეები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ მუსულმანურ სამყაროსთან დაპირისპირება ისეთივე მტკივნეული და მძიმე იქნება, როგორც „ცივი ომი“.

+ + +

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტის აღწერით, ჩეჩნეთის პრეზიდენტის რეზიდენცია მთლიანად ცეცხლის ალშია გახვეული და პრაქტიკულად განუწყვეტლად იბომბება. რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფებმა მოახერხეს ნახევრადდანგრეულ შენობაში შეჭრა, მაგრამ გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ჯერჯერობით უცნობია, იმყოფება თუ არა სასახლეში პრეზიდენტი დუდაევი. ზოგიერთი ინფორმაციით მან დატოვა გროზნო და მაღალმთიან რაიონში განლაგებულ შტაბ-ბინაში გადაინაცვლა, რათა უხელმძღვანელოს პარტიზანულ ომს. ამდენად, საფიქრებელია, რომ სასახლის დაცემა დიდი ფსიქოლოგიური სტიმული იქნება რუსი ჯარისკაცებისთვის, მაგრამ ომი ამით არ დამთავრდება. ჩეჩენ ბოევიკებს უკვე მომზადებული აქვთ თავდაცვითი სიმაგრეები გროზნოს სამხრეთ რაიონში, აქედან კი მთებში აპირებენ უკანდახევას.

+ + +

პრაღაში არაოფიციალური ვიზიტით მყოფმა ეგორ გაიდარმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს საკმარისად გააჩნია ძალები ჩეჩნეთის ომის სწრაფად დამთავრებისთვის, მთავარია მან მოინდომოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ძალზე სწრაფად შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტი დაკარგავს შეიარაღებულ ძალებზე კონტროლს.

რა თქმა უნდა, ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ რაც იქ ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა. დასავლეთის ქვეყნები ნელ-ნელა ხვდებიან, რომ ჩეჩნეთის მოვლენები მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმე არ არის. ბორის ელცინი უდავოდ უძლიერესი ფიგურაა რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე, მაგრამ, როდესაც ქვეყანა ომობს, იზრდება საზოგადოებრივი მოძრაობებისა და პარლამენტის როლი“.

მოკლედ

## ძალთა ახალი განლაგება აშშ კონგრესში

ახალი წლიდან მუშაობას შეუდგა აშშ-ის ახალი კონგრესი, რომლის ნაწილობრივი არჩევნები გასული წლის ნოემბრის დასაწყისში ჩატარდა. არჩევნების ჩატარებამდე პოლიტიკური ექსპერტი ჩარლზ კუკი წინასწარმეტყველებდა, რომ მისი აზრით, მთავარია ის, თუ „როგორ სილას უთავაზებენ დემოკრატებს — გაწვნას, გარტყმას, თუ კარგ ალიყურს“. არჩევნების შედეგებმა უკანასკნელი დაადასტურა — დემოკრატებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. შეაგროვეს რა 50-ზე მეტი დამატებითი ადგილი, რესპუბლიკელებმა პირველად 1954 წლის შემდეგ დაიბრუნეს წარმომადგენელთა პალატის კონტროლი. დემოკრატებმა წააგეს არჩევნები სენატშიც. ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორად ვერ შესძლო გასვლა მარიო კუომომ, რომელმაც ადგილი დაუთმო რესპუბლიკელ ჯორჯ პატაკის. რესპუბლიკელებმა ბ.ფრისტმა და ფ.ტომპსონმა მოიგეს ორივე სენატორის ადგილი ტენესის შტატში. შავკანიანმა რესპუბლიკელმა ჯ.უოტსმა დაიკავა ადგილი წარმომადგენელთა პალატაში ოკლაჰომის იმ ოლქიდან, სადაც მაცხოვრებლები თეთრკანიანები არიან. ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის უფროსმა ვაჟიშვილმა ჯორჯ უ.ბუშმა ტეხასის შტატის გუბერნატორის პოსტი მოუგო დემოკრატ ენნ რიჩარდს, თუმცა, ბუშის უმცროსმა ძმამ ჯებმა წააგო არჩევნები ფლორიდის შტატში. რესპუბლიკელებმა მოიგეს გუბერნატორის 10 ახალი ადგილი და ამჟამად 30 შტატს აკონტროლებენ. თავისი მოღვაწეობის ბოლო ორი წლის მანძილზე ქლინტონს ოპოზიციურ კონგრესთან მუშაობა მოუწევს. ამგვარ მდგომარეობაში 40-იანი წლების დასასრულს აღმოჩნდა პრეზიდენტი ტრუმენი, რომელიც ამ წლებს ყველაზე ცუდ წლებად თვლიდა თავის მოღვაწეობაში. თუმცა, ზოგიერთი პოლიტოლოგი არ არის სიტუაციის დრამატიზირებისთვის განწყობილი და მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი და კონგრესი შეთანხმებულად იმუშავებენ.

## ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებულია

აორთქლდა სახსრები, რომელიც გამოიყო პალესტინის ავტონომიის განვითარებისთვის. მრავალ ქვეყანაში გაეროს კრიტიკოსებმა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ესაა უზარმაზარი და მოუხეშავი ორგანიზაცია, თავის სასარგებლოდ ახალი არგუმენტი მიიღეს. ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართა გაეროს შტაბბინას ნიუ-იორკში და ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებს ნორვეგიაში, თუ რა იქნა 800 ათასი კრონი (117 ათასი დოლარი), რომელიც ნორვეგიამ ღაზის სექტორში პალესტინის ავტონომიის განვითარებისთვის გაეროს სისტემებს გადასცა. ამის შესახებ ჟურნალისტებს აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ინგვარ ჰავნენმა. ნორვეგიის მიერ სახსრები (საერთო ჯამში 8 მილიონი კრონი) გამოყენებული უნდა ყოფილიყო პალესტინელებისთვის სახლების ასაშენებლად. მიღებული ინფორმაციით, როგორც ირკვევა, თანხის დიდი ნაწილი ჩავიდა ადრესატამდე, მაგრამ არ ჩანს 800 ათასი კრონი, რომელიც „უკვალოდ გაქრა გაეროს სისტემებში“. ნორვეგიელებს გამოყოფილი სახსრების ბედი განსაკუთრებით აღელვებთ, რადგან, ჯერ ერთი, მათ დიდი როლი ითამაშეს პალესტინა-ისრაელის 1993 წლის შეთანხმების მიღწევის საქმეში, ახლა კი ძალიან არიან პალესტინელებისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევით დაინტერესებულნი.

გუსტავ ლე ბონი გაბრიელ ტარდთან ერთად სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში ფსიქოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელია. 1895 წელს მან გამოსცა ნაშრომი სახელწოდებით „ბრბოს ფსიქოლოგია“, რომელმაც მაშინვე მიიქცია პოლიტოლოგების, სოციოლოგებისა და სოციოფსიქოლოგების ყურადღება. ლე ბონის შრომების მრავალმა დებულებამ ვერ გაუძლო დროთა გამოცდას და არ დადასტურდა შემდგომი გამოკვლევებით. მიუხედავად ამისა, ლე ბონის დაკვირვებებს, რომელსაც ის ახდენდა დასავლური დემოკრატიის ჩამოყალიბების ეპოქაში, მის მიერ ზოგიერთი პოლიტიკური ტენდენციების განზოგადოებებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, რადგან ეხმაურება ჩვენს თანამედროვეობას. გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს ლე ბონის ნაშრომის იმ თავიდან, რომელსაც ჰქვია „საპარლამენტო ბრბო“.

გუსტავ ლე ბონი

# საპარლამენტო ბრბო

საპარლამენტო კრებები წარმოადგენს არაერთგვაროვანი და ანონიმური ბრბოს თავყრილობებს. მიუხედავად სხვადასხვა ეპოქებში და სხვადასხვა ხალხებში თავისი შემადგენლობის სხვადასხვაობისა, მათ მრავალი საერთო რამ ახასიათებთ... საპარლამენტო შეკრებები ისეთ ერთმანეთისგან განსხვავებულ ქვეყნებში, როგორებიცაა, მაგალითად, საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ერთმანეთს ძლიერ ჰგვანან კამათისა და კენჭისყრის ხასიათით და მთავრობებს ერთნაირი სიძნელეების წინაშე აყენებენ.

საერთოდ, პარლამენტარიზმის რეჟიმი წარმოადგენს ყველა თანამედროვე ცივილიზებული ხალხების იდეალის განსახიერებას, მიუხედავად იმისა, რომ საფუძვლად უდევს საყოველთაოდ მიღებული, მაგრამ მცდარი იდეა, თითქოს ერთად თავმოყრილმა მრავალმა ადამიანმა შეიძლება უფრო სწრაფად გამოძებნოს პრობლემის ბრძნული და დამოუკიდებელი გადაწყვეტა, ვიდრე მცირერიცხოვანმა ჯგუფმა.

საპარლამენტო კრებები ამჟღავნებენ ნებისმიერი ბრბოსთვის დამახასიათებელ ნიშნებს: იდეების პრიმიტიულობა, გაღიზიანება, აღგზნებულობა, ჩამგონებლობა, გრძნობების აყოლა, ბელადების უპირატესი გავლენა. მაგრამ, საპარლამენტო ბრბოს, მისი ძლიერ სპეციფიური შემადგენლობის გამო, განასხვავებს ზოგიერთი ქვემოთ ჩამოთვლილი განსაკუთრებული ნიშნებიც.

მისთვის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია პრიმიტიული, გაუბრალოებული შეხედულებებისადმი მიდრეკილება. ყველა პარტიასთან (...) ჩვენ ვხვდებით განუხრელ მისწრაფებას, რთული საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრას გაუბრალოებული აბსტრაქტული პრინციპებით და, ნებისმიერ შემთხვევაში, გამოსადეგი ზოგადი კანონებით. ბუნებრივია, ეს პრინციპები სხვადასხვა პარტიების მიერ სხვადასხვაგვარად გამოიყენება, მაგრამ, ყოველი ინდივიდი, რაკიღა იგი ბრბოს მიეკუთვნება, ცდილობს უკიდურესობამდე გაზარდოს მათი მნიშვნელობა. აქედან გამომდინარეობს ყველა პარლამენტისთვის დამახასიათებელი უკიდურესობებისადმი მიდრეკილება.

ამგვარი კრებების პრიმიტივიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია ჩვენი დიდი რევოლუციის **(იგულისხმება 1789-1795 წ.წ. საფრანგეთის დიდი რევოლუცია)** პერიოდის იაკობინელები. დოგმებითა და ლოგიკით შებოჭილები, ზოგად-განუსაზღვრელი იდეებით გამოტენილი თავებით, ისინი ცხოვრებაში ატარებდნენ თავის უცვლელ პრინციპებს და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მოვლენათა მსვლელობას და სრულიად სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ მათ ისე გაიარეს რევოლუცია, რომ არც კი შეუმჩნევიათ იგი. მათ წარმოიდგინეს, რომ რამდენიმე პრიმიტიული დოგმის დახმარებით შეიძლება მთელი საზოგადოების შეცვლა თავიდან ბოლომდე და დახვეწილი ცივილიზაციის დაბრუნება სოციალური ევოლუციის ადრინდელი ფაზისადმი. მათი ოცნებების ცხოვრებაში გატარების საშუალებებიც უკიდურესი გაუბრალოებით გამოირჩეოდა. არსებითად, ისინი მხოლოდ იმით შემოიფარგლნენ, რომ თავგამოდებით ამსხვრევდნენ ყველა წინააღმდეგობას, რომელიც გზაზე ეღობებოდათ. საერთოდ, სხვებიც — ჟირონდისტები, მონტანიარები, თერმიდორელებიც **(პოლიტიკური პარტიები ამ რევოლუციის დროს)** — იგივე სულისკვეთებით მოქმედებდნენ.

პარლამენტური ბრბო ძალიან ადვილად ექცევა ჩაგონების გავლენის ქვეშ, ისევე, როგორც ყოველგვარ ბრბოში, ჩაგონება მომდინარეობს მიმზიდველობის ძალის მქონე ბელადისგან. მაგრამ, საპარლამენტო კრებების ჩამგონებლობას აქვს მკვეთრად შემოფარგლული საზღვრები, რომელთა მითითებაც აუცილებელია...

საკითხებში, რომლებიც ადგილობრივ ინტერესებს ეხება, პარლამენტის თითოეულ წევრს იმდენად მდგრადი და შეურყეველი აზრი აქვს, რომ მას ვერავითარი არგუმენტები ვერ შეცვლის. თვით დემოსთენეს ტალანტსაც კი არ შეუძლია შეაცვლევინოს კენჭისყრის დროს დეპუტატს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ამომრჩეველთა გავლენიანი ჯგუფის ინტერესებს, მაგალითად, პროტექციონიზმის ან საბაჟო ტარიფების შესახებ. ჩაგონების ძალა უარყოფს ყოველგვარ სხვა შეხედულებას და ხელს უწყობს პოზიციების აბსოლუტურ შეუცვლელობას.

საერთო საკითხებში კი, რომელიც ეხება, ვთქვათ, მინისტრების დამხობას, გადასახადების დაწესებას, აზრთა ურყეობა ქრება და პარლამენტზე შეიძლება იმოქმედოს კრების გამოჩენილი ბელადის ჩაგონებამ, მაგრამ, არა ისე, როგორც ჩვეულებრივ ბრბოში. თითოეულ პარტიას ჰყავს თავისი ლიდერი, ისინიც საპარლამენტო კრებაზე ზოგჯერ ერთნაირი გავლენით სარგებლობენ, რის გამოც დეპუტატი საწინააღმდეგო ჩაგონებების გავლენას განიცდის და, საბედისწეროდ, ყოყმანობს. ამიტომაც, ზოგჯერ ხდება, რომ რაღაც მეოთხედი საათის განმავლობაში დეპუტატს შეუძლია თავისი აზრის სრულიად საპირისპირო აზრით შეცვლა და იმ წუთას მიღებული კანონისთვის ისეთი მუხლის ან შესწორების დამატება, რომ სრულიად ანადგურებს მას.



ამიტომაც, საკანონმდებლო კრება ხშირად სრულებად განსაზღვრულ კანონთან ერთად, იღებს ხოლმე ძალზე ბუნდოვან გადაწყვეტილებებს. რამდენადაც ზოგადი ხასიათის საკითხები უფრო მრავალრიცხოვანია, საპარლამენტო ასამბლეებშიც გაბატონებულია მერყეობა, რომელიც ეფუძნება ამომრჩეველთა წინაშე შიშსა და მის გამაწონასწორებელ ბელადისეულ ჩაგონებებს.

ბელადები მუდმივად ახვევენ თავს ბრბოს საკუთარ ნებას იმ საკითხებზე კამათისას, რომელთა შესახებაც კრების წევრებს არა აქვთ ადრე ჩამოყალიბებული აზრი.

ბელადებზე მოთხოვნა აშკარაა, რადგანაც ფრაქციების ხელმძღვანელთა სახით ისინი ყველა ქვეყანაში არსებობენ. სწორედ ისინი არიან საპარლამენტო კრებების ჭეშმარიტი მბრძანებლები. ადამიანებს ბრბოში არ შეუძლიათ მბრძანებლის გარეშე არსებობა და, ამიტომაც, ნებისმიერი პარლამენტის მიღებული გადაწყვეტილება გამოხატავს ადამიანთა ძალიან მცირე ჯგუფის აზრს.

ბელადები, გავიმეორებ, უმრავლეს შემთხვევაში ბრბოზე მოქმედებენ მიმზიდველობით, ვიდრე გონიერი მოსაზრებებით, და თუ გარემოებათა გამო ისინი ამ მიმზიდველობას კარგავენ, მათი გავლენაც არარაობამდე დადის.

ჟიულ სიმონი, იგონებს რა 1848 წლის კრების დიდ მოღვაწეებს, ამბობს, რომ საპარლამენტო ასამბლეები ეს ის ადგილებია, სადაც ყველაზე ნაკლებად შეიმჩნევა გენიის გაელვება. იქ აფასებენ დროისა და ადგილის მიმართ მისადაგებულ ლამაზ სიტყვას და სამსახურს, გაწეულს არა სამშობლოსთვის, არამედ პარტიებისთვის.

ბელადის მიმზიდველობა ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და არც სახელსა და არც დიდებაზე არაა დამყარებული. ბრბოს მაშინათვე აღარ ეწოდებოდა ბრბო, მხედველობაში რომ იღებდეს ბელადის დამსახურებას სამშობლოს ან პარტიების წინაშე. ბრბო ემორჩილება მხოლოდ ბელადის მომნუსხველობას: მადლიერების ან ინტერესის გრძნობა აქ არაფერ შუაშია.

ამიტომაც ბელადს, დაჯილდოებულს სათანადო მიმზიდველობით, უპყრია თითქმის აბსოლუტური ხელისუფლება. ბელადი იშვიათად უსწრებს წინ საზოგადოებრივ აზრს. უფრო ხშირად იგი იმით იფარგლება, რომ ეწყობა საზოგადოების დაბნეულ აზრებს.

დარწმუნების საშუალებები, რომელსაც ბელადი იყენებს მიმზიდველობის გარდა, არსებითად იგივეა, რაც სხვა ბრბოში. მათი ეფექტურად გამოყენების მიზნით ბელადმა უნდა შეიმეცნოს, ქვეცნობიერად მაინც, ბრბოს ფსიქოლოგია, იცოდეს თუ როგორ ელაპარაკოს მას, ფლობდეს სიტყვების, ფორმულებისა და სახეების მომხიბვლელ, ჰიპნოტიკურ ძალას. მას უნდა ჰქონდეს სპეციფიური მჭევრმეტყველება, რომლის არსიც მდგომარეობს ენერგიულ გამონათქვამებსა და შთამბეჭდავ სახეთა წარმოჩენაში, რომლებიც ზედაპირული არგუმენტებითაა შემოსაზღვრული. ამგვარი მჭევრმეტყველება გვხვდება ყველა პარლამენტში, თვით ინგლისშიც კი, რომელიც ყველაზე გაწონასწორებულია არსებულ პარლამენტებს შორის.

„ჩვენ ხშირად ვკითხულობთ, — ამბობს ინგლისელი ფილოსოფოსი მენი, — დებატებზე თემთა პალატაში, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს საერთო მოსაზრებების ურთიერთგაზიარებას რამდენიმე ტემპერამენტიან პიროვნებას შორის. მაგრამ, საერთო ფორმულების ეს ჟანრი გასაოცარ გავლენას ახდენს წმინდა დემოკრატიის წარმოსახვებზე. თუ ზოგადი ხასიათის დასაბუთებები ბრბოს წარედგინება ძლიერი, მის წარმომსახველობით უნარზე ზემოქმედი გამონათქვამების სახით, მისი დარწმუნება ძალიან ადვილი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ეს დასაბუთებები არავის შეუმოწმებია და არც შეიძლება მათი შემოწმება“.

ამ „ძლიერი გამონათქვამის“ მნიშვნელობა ოდნავადაც არაა გაზვიადებული. ბელადების ინტერესებშია თავს ნება მისცეს, რაიმეს არაჩვეულებრივად გაზვიადებისა. ბრბოზე ისინი მით უფრო ძლიერად მოქმედებენ, რაც მეტია ორატორის სიტყვებში მრისხანება და მუქარა. არ არსებობს მსმენელთა დაწყნარების უკეთესი საშუალება, რომელთაც არ შეუძლიათ პროტესტის გამოხატვა მოღალატის ან თანამზრახველის დაბრალების შიშით...

ზოგჯერ ბელადი შეიძლება ჭკვიანიც იყოს და განათლებული ადამიანიც, მაგრამ ეს ნიშნები უფრო მავნებელია მისთვის, ვიდრე სასარგებლო. წვდება რა საგანთა არსს, შეუძლია რა მათი ახსნა და გაგება, ჭკუა ადამიანს უფრო ლმობიერსა ხდის და მნიშვნელოვნად ამცირებს იმ დამარწმუნებლობის ძალასა და მგზნებარებას, რომელიც [illegible] გააჩნდეს [illegible] ყველა დროის [illegible] რევოლუციის [illegible] გამოირჩეოდნენ გასაოცარი შეზღუდულობით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი გავლენით სარგებლობდნენ...

საშინელებაა ისეთ ხელისუფლებაზე ფიქრიც კი, რომელიც ეძლევა მიმზიდველ ადამიანს, რომელშიც შეერთებულია მტკიცე რწმენა და გონებაშეზღუდულობა. ზოგჯერ ეს პირობები საჭიროა, რათა დაიძლიოს წინააღმდეგობები, როცა რაღაც გინდა. და ბრბოც უმალვე შეიცნობს-ხოლმე ამ თავდაჯერებულ და ენერგიით სავსე ადამიანებში მათთვის ეგზომ საჭირო მბრძანებლებს.

პარლამენტში წარმოთქმული სიტყვის წარმატება თითქმის მთლიანად ორატორის მიმზიდველობაზეა დამოკიდებული და არა მის მიერ წამოყენებულ არგუმენტებზე. უცნობ ორატორს, ასულს ტრიბუნაზე მხოლოდ გონივრული დასაბუთებებით, არავითარი შანსი არ გააჩნია, რომ იყოს ბოლომდე მოსმენილი.

როცა საპარლამენტო კრებები აღგზნების რაღაც გრადუსებს აღწევს, ისინი ემსგავსებიან ჩვეულებრივ ჭრელ ბრბოს და უკიდურესი გრძნობები ფარავენ მათ. ამ დროს მათ შეუძლიათ დიდი გმირობის ჩადენაც და ყველაზე სამარცხვინო საქციელისაც. ინდივიდი აღარ ეკუთვნის საკუთარ თავს და შეუძლია ხმა მისცეს ისეთ ღონისძიებებს, რომელიც პირადად მის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

გაუცნობიერებლობის ასეთ ფენომენს ჩვენ ვხვდებით კონვენტის **(კონვენტი — ეროვნული, რევოლუციური ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო საფრანგეთში. შეიქმნა საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს. მოქმედებდა 1792-1795 წ.წ.)** ყველა მღელვარე სხდომებზე. „ისინი იწონებენ და იღებენ იმას — წერს ტენი **(იპოლიტ ტენი — ფრანგი ისტორიკოსი)**, — რისაც თვითონ ეშინიათ. ისინი ხმას აძლევენ არა მარტო სისულელეებს ან უგუნურობებს, არამედ დანაშაულობებს, უდანაშაულოთა მკვლელობებს, საკუთარი მეგობრების მკვლელობებს. ერთხმად და მარჯვნიდან და მარცხნიდან ერთსულოვანი ტაშის გრიალში ისინი ეშაფოტზე უშვებენ დანტონს **(ჟორჟ დანტონი — საფრანგეთის დიდი რევოლუციის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე)**, თავის ბუნებრივ ბელადს. ერთხმად და მარჯვნიდან და მარცხნიდან კვლავ ერთსულოვანი ტაშის გრიალში ხმას აძლევენ რევოლუციის ყველაზე უარ[illegible] დეკრეტებს. ერთხმად, გაღმერთების[illegible] ენთუზიაზმის წამოძახილებით, მხ[illegible] თანაგრძნობის გამოხატულებით ინარჩუნებენ მკვლელთა მთავრ[illegible]

ეს სურათი შეიძლება ძალიან [illegible] მოგეჩვენოთ, მაგრამ, იგი „მართალია. აღგზნებული და დაჰიპნოზებული საპარლამენტო სხდომები იგივე ნიშნებს ამჟღავნებენ. ისინი ემსგავსებიან მოძრავ ბრბოს, რომელიც ნებისმიერ იმპულსს ემორჩილება...

საბედნიეროდ, საპარლამენტო კრებების ეს ნიშნები არაა მუდმივი. ისინი მხოლოდ ზოგჯერ იქცევიან ბრბოდ. უმრავლეს შემთხვევაში, ადამიანები, რომლებიც მასში მონაწილეობენ, ინარჩუნებენ თავის ინდივიდუალობას და ამიტომაც პარლამენტებს შეუძლიათ მიიღონ შესანიშნავი ტექნიკური კანონები. მართალია, ეს კანონები ხშირ შემთხვევაში მზადდება სპეციალისტების მიერ კაბინეტურ სიმყუდროვეში და ამიტომ ისინი წარმოადგენენ ერთი ინდივიდის შრომის ნაყოფს და არა მთელი კრებისას. ეს კანონები განეკუთვნება საუკეთესოთა რიცხვს, ხოლო უხეირო კოლექტიური შესწორებები მხოლოდ აფუჭებენ და ანგრევენ მათ. ბრბოს საქმიანობის შედეგი ყველგან და ყოველთვის უფრო უარესია ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფთან შედარებით. მხოლოდ სპეციალისტებს შეუძლიათ გადაარჩინონ კრებები მოუწესრიგებელი და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან და ასეთ შემთხვევაში ისინი დროებით ხელმძღვანელებად იქცევიან-ხოლმე. ისინი არ ექცევიან კრების გავლენის ქვეშ და თვით ხელმძღვანელობენ მას.

მიუხედავად საპარლამენტო კრებების საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი სიძნელეებისა, ისინი მაინც ყველაზე საუკეთესო საშუალებაა მათ შორის, რაც ხალხის თვითმმართველობისთვის იქნა ნაპოვნი და წარმოადგენენ პირადი ტირანიის ულისგან თავდაცვის ყველაზე კარგ შესაძლებლობას.

თარგმნა
**ბივი ბოლოთაშვილმა**

მოზაიკა

### მელოტობა — სამუდამოდ

მილიონობით იტალიელისთვის ფრიად სამწუხარო გამოდგა პარმის უნივერსიტეტის დერმატოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტების დასკვნა, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე სწავლობდნენ თმის ამომყვანი სამედიცინო ცენტრების მეთოდებს. სასწაულები არ ხდება, ამბობენ მეცნიერები და ისინი, ვისაც იმედი აქვთ, რომ თავს ქოჩორა თმებით დაიმშვენებენ, გულუბრყვილონი არიან. ამჟამად იტალიაში 70-ზე მეტი თმის აღმდგენი ცენტრი მუშაობს, რომელთა მეთოდებს თაღლითურს თუ არა, სხვას ვერაფერს უწოდებ. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის „სასწაულმოქმედი ბალზამი“ სინამდვილეში წითელი წიწაკის ნაყენი აღმოჩნდა. სპეციალისტებმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს სხვა პოპულარული, ე.წ. თმების გადანერგვის პროცესი. ისინი აღნიშნავენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში თმების გადანერგვა ისევ თმების დაცვენით მთავრდება, ხოლო უმცირეს შემთხვევაში — ვინც ინარჩუნებს გადანერგილ თმას, მოგვიანებით ეწყება უცხო ქსოვილის ორგანიზმის მიერ უარყოფის პროცესი.

### ღირსეულ სამუშაოს — ღირსეული ჯილდო

ჩინეთის პროვინცია ანხოიში ჩატარდა კონკურსი საუკეთესო საზოგადოებრივი ტუალეტისთვის. პროვინციულმა მთავრობამ შექმნა 20 ექსპერტისგან შემდგარი სპეციალური კომისია, რომელმაც დაასახელა კონკურსში გამარჯვებული. კონკურსის დროს მხედველობაში მიიღებოდა ყველაფერი — ტუალეტების მოწყობილობა, გარეგნული სახე, სისუფთავე და „ნარჩენების“ გამოყენების ტექნოლოგია. სამ საუკეთესო ტუალეტს მიენიჭა საკმაოდ დიდი პრიზი.

### სკოლაში უმთავრესია მეტალოდეტექტორი

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამერიკის სკოლებში ძალადობამ 38 პროცენტით, იმატა. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სოციოლოგიური გამოკვლევის ავტორები. გამოკითხვა 700 საქალაქო თემში ჩატარდა. უკანასკნელი წლის განმავლობაში მკვლელობა ან სხვა სისხლის სამართლის დანაშაული ყოველ მე-4 შესწავლილ სკოლაში მოხდა. სკოლების 70 პროცენტი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშაა. 40 პროცენტში კი ბავშვთა ბანდიტური ჯგუფები დათარეშობენ. სკოლების 19 პროცენტში ბავშვებს მეტალოდეტექტორებით ამოწმებენ — იარაღს ხომ არ ატარებენ. ხოლო თუ სკოლაში აპირებენ სპორტული ან სხვა სადღესასწაულო ღონისძიების გატარებას, 10-დან 9 შემთხვევაში წესრიგის დასაცავად ადგილობრივ პოლიციას იწვევენ.

ფეხბურთი

# ევროპაში საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტური გაიმართა

### იტალია

„იუვენტუსი" — „რომა" 3:0. გოლები: რავანელი (33, 82 — პენალტით), ვიალი (86) ტურინელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე და კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები. ანგარიში 3:0, თითქოს, პლარავითარ ეჭვს არ ტოვებს ძალთა თანაფარდობის შესახებ, მაგრამ... „რომა" არ იმსახურებდა წაგებას. უფრო მეტიც, იგი გაცილებით უკეთ თამაშობდა და გამარჯვების შანსიც ჰქონდა. პირველი ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა გაუშვეს გოლის გატანის სამი რეალური შანსი: ჯერ დანიელ ფონსეკამ, შემდეგ კი აბელ ბალბომ ახლო მანძილიდან ააცდინეს ბურთი მიზანს, გაყინულ მინდორზე ძალიან ძნელი იყო მაღალი კლასის თამაშის ჩვენება. პირველი 30 წუთის მანძილზე „იუვენტუსმა" მხოლოდ ერთხელ დაარტყა კარში, ისიც არაზუსტად. მაგრამ 33-ე წუთზე მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ. თავისი საჯარიმოს ახლოს „რომამ" აუტის მოწოდების უფლება მიიღო. ბრაზილიელმა მცველმა ალდაირმა ბურთი ხელში აიღო და მეკარისთვის მისაწოდებლად გაემზადა. ამ დროს მის ზურგს უკან მდგარმა გვერდითმა მსაჯმა ალდაირს ზურგში უბიძგა. ბრაზილიელს ბურთი ხელიდან გაუვარდა. იქვე მდგომმა ფაბრიციო რავანელიმ კარგად შეაფასა სიტუაცია და მოჭრილი დარტყმით ბურთი მეკარე ჩერვონეს თავზე გადაუგდო, ეს გოლი არ უნდა ჩათვლილიყო! „რომას" მოთამაშეები მწყობრიდან გამოვიდნენ, მიეჭრნენ მთავარ მსაჯსა და ლაინსმენს და გოლის გაუქმება მოითხოვეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. თამაშის ხასიათი არ შეცვლილა. „რომა" კვლავ უტევდა. ერთი-ერთზე გასული ჯანინი კარგავს მომენტს, სახიფათოდ ურტყამს ფონსეკა, ბალბოს დარტყმა კი კარის ხაზიდან გამოაქვთ მცველებს...

მეორე ტაიმში კიდევ ორი უსამართლობა მოხდა. 75-ე წუთზე მასპინძელთა შეტევის დროს მორენო ტორიჩელიმ უხეშად ითამაშა მეკარე ჩერვონეს წინააღმდეგ, მსაჯმა ორივენი გააძევა მინდვრიდან (ჩერვონე — ტყუილუბრალოდ!).

81-ე წუთზე „რომა" ცხრა კაცის შემადგენლობით აგრძელებს თამაშს, თანაც მის კარში პენალტი ინიშნება! ჯერ [illegible] პეტრუცისა და ვიალის ორთაბრძოლაში პირველმა წესი ტურინელმა დაარღვია, მეორე და უმთავრესი კი [illegible], რომ პეტრუციმ ვიალი საჯარიმოს გარეთ წააქცია! რავანელიმ ზუსტად დარტყა თერთმეტმეტრიანი.

საეჭვო იყო მესამე გოლიც. „რომას" მცველებმა ხელები ასწიეს და მსაჯს აჩვენებდნენ, ვიალი თამაშგარე მდგომარეობაშიაო. მაგრამ მსაჯმა არც ამჯერად მიაქცია მათ ყურადღება. საბოლოოდ, 3:0 — „იუვენტუსის" დაუმსახურებელი გამარჯვება.

**„ფიორენტინა" — „პარმა" 1:1. ბატისტუტა (9); პინი (46).**



გაბრიელ ბატისტუტა

პარასკევს საუდის არაბეთში ნათამაშები წარუმატებელი ფინალის შემდეგ, არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა დაბრუნდა ფლორენციაში. კვირას მან თავისი მე-15 მატჩი ითამაშა და მე-15 გოლი გაიტანა. მასპინძლებს შეეძლოთ მეტის მიღწევაც, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები გაუშვეს ბაიანომ, რობიატიმ და რუი კოშტამ. „პარმა" მალე გაერკვა სიტუაციაში და ინიციატივაც ხელთ იგდო. განსაკუთრებით აქტიურობდა ბრანკა. მეორე ტაიმში „ფიორენტინას" კარში გოლი გაიტანა გრეგორიო პინმა, რომელმაც პარტნიორების გათამაშებული ლამაზი კომბინაცია დააგვირგვინა. „პარმას" შეეძლო მოგება. ორ ეპიზოდში მსაჯმა მასპინძელთა მხარე დაიკავა. ჯერ ძოლას დარტყმული საჯარიმო ხელში მოხვდა მალუშის — პენალტი არ დაინიშნა. შემდეგ კარნამალიმ ბურთი კარის ხაზის შიგნიდან გამოიტანა — გოლი არ დაფიქსირდა. ბოლო წუთებზე უკვე „პარმა" გადარჩა — ბატისტუტამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი.

**„ჯენოა" — „პადოვა" 2:1. ვან შიპი (28), მანიკონე (89); კრეეკი (75).**

„პადოვა" ნელ-ნელა ეჩვევა სერია „ა"-ს. ამჯერადაც მან ტოლი არ დაუდო მასპინძლებს. მთლიანად მატჩში მეტი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ მაინც წააგო. სამივე გოლი ლეგიონერების უშუალო მონაწილეობით გავიდა. ჯერ ვან შიპმა ითამაშა დასწრებაზე და ეფექტურად დაარტყა, შემდეგ მისმა თანამემამულემ, „აიაქსიდან" გადმოსულმა კრეეკმა შეაგორა ბურთი ცარიელ კარში და აღადგინა თანაფარდობა. ბოლოს კი თავი გამოიჩინა იაპონელმა კასო მიურამ. იგი თამაშის მიწურულს შემოვიდა მინდორზე ჩეხი ტომაშ სკუხრავის ნაცვლად. ბოლო წუთზე მიურა, რომელიც ადრე ბრაზილიაში თამაშობდა, ბრწყინვალე დრიბლინგით გასცდა ლალასს და ბალერის და კარის წინ მარტოდ დარჩენილი მანიკონე მოძებნა.

**„რეჯანა" — „ტორინო" 1:0. სიმუტენკოვი (57).**

რუსი ლეგიონერი მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. მთლიანად უსახურ მატჩში იგი საუკეთესო იყო 22 ფეხბურთელს შორის. გოლიც ოსტატურად გაიტანა. მიიღო ბურთი მეტოქის საჯარიმოში, პაუზით მოატყუა წინ გამომხტარი მეკარე და წყნარად გაიტანა ბურთი. სიმუტენკოვს მეტის გაკეთებაც შეეძლო, მაგრამ თამაშის ბოლოს ვერ დაიმორჩილა ბურთი. „რეჯანას" კიდევ რამდენიმე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა.

**„კრემონეზე" — „ბრეშია" 0:0.**

მასპინძლებმა პირველად ითამაშეს ფრედ, თამაში ნერვიულად მიმდინარეობდა, მსაჯმა 7 ფეხბურთელი გააფრთხილა. „ბრეშიას" შემადგენლობაში ითამაშეს პორტუგალიელმა ჟორჟე კადეტემ (იგი „სპორტინგიდან" გადმოვიდა) და „ჯენოაში" ნაყიდმა მარკო ნაპიმ.

**„ინტერი" — „სამპდორია" 2:0. ფესტა (57), ფონტოლანი (67)**

ინტერესს იწვევდა, როგორ ითამაშებდნენ თავისი ყოფილი გუნდების წინააღმდეგ ვალტერ ძენგა, რიკარდო ფერი (ორივე „სამპდორია") და ჯანლუკა პალიუკა („ინტერი"). უკეთესი შთაბეჭდილება პალიუკამ დატოვა. თუმცა, მას დიდი სამუშაო არ ჰქონია. მასპინძელთა რიგებში გამოჩნდა ჰოლანდიელი დენის ბერხკამპი, მაგრამ იგი ჯერ შორსაა თავისი საბრძოლო ფორმისაგან. პირველი გოლი სწორედ ბერხკამპის მონაწილეობით გავიდა. მან სცადა კარში დარტყმა, ბურთი აეჭრა და პარტნიორ ფესტას მიუგორდა. არც ფესტამ ითამაშა უკეთ. მისი დარტყმა არ წარმოადგენდა დიდ ხიფათს, მაგრამ ძენგა ძლიერ დარტყმას ელოდა და უკვე წაიქცა ბურთის მოსაგერიებლად. ბურთი ხელში მოხვდა და კარში აღმოჩნდა. საბოლოოდ, „ინტერმა" მოიგო, მაგრამ ეს გამარჯვება დიდად განაპირობა 55-ე წუთზე ვერხოვოდის გაძევებამ.



დეიან სავიჩევიჩი

**„ბარი" — „მილანი" 3:5. ამ მატჩში ბრწყინვალედ ითამაშა ხორვატმა დეიან სავიჩევიჩმა და მეტოქის კარში ოთხი ბურთი გაიტანა.**

**ტოვალიერი (30,66), პედონე (72); მასარო (1 1), სავიჩევიჩი (39,52,55,84).**

**„ლაციო" — „ფოჯა" 7:1. ბოქშიჩი (48,52,89) სინიორი (64,85), კაზირაგი (83) ფუზერი (90); მანდელი (60).**

რომაელებმა მოიგეს 7:1, შეეძლოთ ორი ამდენი გოლის გატანაც. საინტერესოა, რომ პირველ 45 წუთში ანგარიში არ გახსნილა. ალენ ბოქშიჩმა ჰეთ-თრიკი შეასრულა, ბეპე სინიორიმ ორი გოლი გაიტანა და 10 გატანილი ბურთით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. „ფოჯა" მე-40 წუთიდან ათი კაცის შეკმადგენლობით თამაშობდა (გააძევეს კაინი).

**„ნაპოლი" — „კალიარი" 1:1 კრუზი (22); მუცი (32).**

„ნაპოლის" შეეძლო მოგება. მან უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ბოლოს კრუზმა მაინც მოახერხა გოლის გატანა, მაგრამ თვითონვე დაღუპა გუნდი. ერთ-ერთ იშვიათ კონტრშეტევაში „კალიარიმ" ჩააწოდა საჯარიმოში. ბურთი მოხვდა კრუზს, ასხლეტით მიუვიდა მუცის და ანგარიში გათანაბრდა.

„იუვენტუსი" 36 ქ. (15 თამაშიდან)
„პარმა" 32
„ლაციო" 28
„ფიორენტინა" 27
„რომა" 27

### ესპანეთი. მე-18 ტური

„სელტა" — „ბეტისი" 0:2. კუელიარი (2)

„დეპორტივო" — „რეალი" 0:0.

„ბარსელონა" — „ლოგრონიესი" 3:0. ბაკერო, აბელარდო, ხორდი კრუიფი.

„ატლეტიკო" — „კომპოსტელა" 1:1. ვალენსია; დიეგო.

„ოვიედო" — „ბილბაო" 1:1. კარლოსი; გერერო.

„ვალიადოლიდი" — „ალბასეტე" 1:1. პედრო; დერტისია.

„სოსიედადი" — „ხიხონი" 2:2. ლუის პერესი, კოდრო; მორალესი (2).

„ტენერიფე" — „რასინგი" 3:0. პიცი, ლორენტე, საბალოსი

„ვალენსია"- „ესპანიოლი" 0:0.

„სევილია" — „სარაგოსა" 2:1. შუკერი, კორტიხო; იგერა.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეალი" | 18 | 42:15 | 26 |
| „სარაგოსა" | 18 | 30:16 | 23 |
| „დეპორტივო" | 18 | 28:20 | 23 |
| „ბარსელონა" | 18 | 29:21 | 22 |

### ინგლისი. 24-ე ტური.

15 იანვარი

„არსენალი" — „ევერტონი" 1:1.
„ასტონ ვილა" — „ქუინზ პარკ რეინჯერსი" 2:1.
„ბლექბერნი" — „ნოტინგჰემი" 3:0.
„ჩელსი" — „შეფილდ უენსდეი" 1:1.
„კრისტალ პალასი" — „ლეისტერი" 2:0.
„ლიდსი" — „საუთჰემპტონი" 0:0.
„ლივერპული" — „იფსვიჩი" 0:1.
„მანჩესტერ სიტი" — „ქოვენთრი" 0:0.
„ნორვიჩი" — „უიმბლდონი" 1:2.
„ვესთჰემი" — „ტოტენჰემი" 1:2.
„ნიუკასლი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 1:1.

| | თ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბლექბერნი" | 23 | 59:18 | 55 |
| „მანჩესტერ იუნაიტედი" | 24 | 45:20 | 50 |
| „ლივერპული" | 24 | 44:20 | 45 |
| „ნოტინგჰემი" | 24 | 36:26 | 42 |
| „ნიუკასლი" | 23 | 41:24 | 41 |
| „ტოტენჰემი" | 24 | 41:35 | 39 |

### ჰოლანდია. მე-16 ტური.

14 იანვარი

„ვაალვიკი" — „აიაქსი" 1:1.
„ფეიენოორდი" — „დორდრეხტი" 5:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 16 | 44:12 | 27 |
| „როდა" | 16 | 31:9 | 26 |
| „ტვენტე" | 16 | 38:24 | 23 |
| „ეინდჰოვენი" | 16 | 39:22 | 21 |
| „ფეიენოორდი" | 16 | 33:27 | 21. |

### ბელგია. მე-17 ტური.

15 იანვარი

„ანტვერპენი" — „სტანდარტი" 0:1.
„ანდერლეხტი" — „სერკლი" 1:1.
„ბრიუგე" — „მოლენბეკი" 3:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 17 | 37:17 | 26. |
| „სტანდარტი" | 17 | 28:13 | 26. |
| „ბრიუგე" | 17 | 38:18 | 24. |

### პორტუგალია. მე-17 ტური.

15 იანვარი

„სპორტინგი" — „გიმარაეში" 2:0.
„ტირსენსე"—„პორტო"0:2.
„ბრაგა" — „ბენფიკა" 0:2.

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „სპორტინგი" | 17 | 30 |
| „პორტო" | 17 | 30. |
| „ბენფიკა" | 17 | 26 |

### დანიის ნაკრებმა მეფე ფაჰდის თასი მოიპოვა

საუდის არაბეთში დასრულდა მეფე ფაჰდის სახელობის საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება. ფინალში დანიის ნაკრებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა არგენტინის გუნდი და ძმები ლაუდრუპების ბრწყინვალე თამაშის წყალობით დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა 2:0 (მ.ლაუდრუპი 8 წთ,



მაიკლ ლაუდრუპი

პენალტით, რასმუსენი 74). მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ მექსიკა და ნიგერია. ძირითადი დრო ფრედ 1:1 (რამირესი 20 — ამოკაჩი 31) დასრულდა. პენალტები მექსიკელებმა უკეთ შეასრულეს. მათ ხუთივე გოლი გაიტანეს, ნიგერიელთაგან შანსი ვერ გამოიყენა აფრიკის 1994 წლის საუკეთესო მოთამაშემ ამუნიკემ. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: დანია, არგენტინა, მექსიკა, ნიგერია, საუდის არაბეთი, იაპონია.

### სტოიჩკოვი დააჯარიმეს

„რეალი" — „ბარსელონას" მე-17 ტურის შეხვედრაში, რომელიც სამეფო კლუბის ტრიუმფით დამთავრდა 5:0. მოედნიდან უხეში თამაშისთვის გააძევეს „ბარსას" კორეარდი ხრისტო სტოიჩკოვი.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით სტოიჩკოვი გამოტოვებს 2 კალენდარულ მატჩს და გადაიხდის ჯარიმას 144.000 პესეტს (1090) დოლარი.

**ვახო გეგელია,**

**ბიძინა ბარათაშვილი**

GEORGIAN MARITIME BANK



საქართველოს საზღვაო ბანკი

საქართველოს საზღვაო-სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი: 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

საზღვაო ბანკი მეზღვაურის ბანკია

მომსახურება მინიმალური ტარიფებით

საერთაშორისო საბანკო ოპერაციები სამი საბანკო დღის ვადაში

ვალუტის კონვერტაცია

ნაღდი ფულის ინკასაცია

გაცვეთილი ფულადი ნიშნების შესყიდვა

ჩოგბურთი

## ლელა მესხის წარმატება

გუშინ ავსტრალიის ქალაქ მელბურნში, „ფლინდერს პარკის" კორტებზე, ოთხმოცდამესამეჯერ აიღო სტარტი ავსტრალიის ღია პირველობამ, რომელშიც თბილისელი ლელა მესხიც მონაწილეობს. ქართველმა ჩოგბურთელმა წარმატებით იასპარეზა ერთ-ერთ წინასაჩემპიონატო ტურნირში, რომელიც იქვე — „მწვანე კონტინენტზე" — გაიმართა. ამ ტურნირში მონაწილეობა მიიღო 32 ჩოგბურთელმა, რომლებიც უძლიერესთა კლასიფიკაციაში 12-დან 50-ე ადგილის ჩათვლით იმყოფებიან. ლელამ ფინალამდე გზიდან ჩამოიცილა ამერიკელი კასიკი, რუსები მაკაროვა და ლიხოვცევა, იაპონელი ხი, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში ორ სეტში (6:2, 6:3) დაამარცხა ასევე იაპონიის წარმომადგენელი ლი. ლელა მესხი ავსტრალიის ღია ჩემპიონატში თავის პირველ მატჩს დღეს გამართავს.



მრავალდარგოვანი სავაჭრო-კომერციული ფირმა

იაგუარი-2

ჩვენთან ურთიერთობა თქვენი წარმატების საწინდარია

ბათუმი, ახალსოფელი

სარედაქციო კოლეგია

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფაჩუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (პოლიტიკა), გივი ბოლოთაშვილი (უცხოეთი), ვახტანგ როდონაია („არილი"), დავით კახაბერი („თვალსაწიერი"), შადიმან შამანაძე (პუბლიცისტიკა), ვახტანგ სალია (გაზეთის დირექტორი), ბონდო მძინარაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.